ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

11 ივლისი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 129 (10 298) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ნლეულს უკეთ, ვიდრე წინა წლებში

**კიშინიოვი.** როგორც ვიუწყებოდით, კლასიკური სტილით მოჭიდავეთა აქ დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს ათლეტებმა მოიპოვეს ერთი ოქროს (თენგიზ თედორაძე, 100 კგ), ორი ვერცხლის (გურამ გედეხაური, 100 კგ და გიორგი კოღუაშვილი, 90 კგ) და ერთი ბრინჯაოს (ბეგი დარჩია, 82 კგ) მედალი. ამას გარდა, გელა პაპაშვილი (48 კგ) და ზაურ ივანიშვილი (100 კგ) მეხუთე ადგილებზე გავიდნენ. ამ და სხვა მოჭიდავეების მიერ ნაჩვენებმა შედეგებმა ჩვენი ნაკრები მესამე საპრიზო ადგილზე გაიყვანა. სიამოვნებით ალვნიშნავთ, რომ ასეთი მაჩვენებელი საქართველოს ნაკრებს კარგა ხანია არ ჰქონია.

შარშან მინსკში საქართველოს წარმომადგენლებმა ერთი ოქროს (გურამ გედეხაური, 100 კგ) და ერთი ვერცხლის ( ბეგი დარჩია, 82 კგ) მედალი მოიპოვეს. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ერთი წლის წინანდელ ჩემპიონთაგან ოქროს მედალი შეინარჩუნა მხოლოდ ოთხმა ათლეტმა: გ. ატმაკინმა (62 კგ), ი. დოგუჩიევმა (68 კგ), დ. ტურლიხანოვმა (მინსკში იგი 74 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა, კიშინიოვში კი ზედა წონაში გადავიდა) და ა. კარელინმა (130 კგ).

გთავაზობთ 59-ე ჩემპიონატის პრიზიორთა სიას:

**48 კგ.** 1. შ. აბასოვი (გროზნო), 2. ვ. სავჩუკი (მოსკოვი), 3. ს. სუვოროვი (ომსკი).

**52 კგ.** 1. გ. ავაგინი (ლენინგრადი), 2. ა. კალაშნიკოვი (კიევის ოლქი), 3. ს. იგნატენკო (ომსკი).

**57 კგ.** 1. ს. ბულანოვი (როსტოვი), 2. ქ. ამბარცუმოვი (მოსკოვი), 3. ა. იგნატენკო (ომსკი).

**62 კგ.** 1. გ. ატმაკინი (სარანსკი), 2. ქ. მაჯიდოვი (მინსკი), 3. ა. რუბენიანი (ლენინაკანი).

**68 კგ.** 1. ი. დოგუჩიევი (როსტოვი), 2. ო. კრილიშინი (სიმფეროპოლი), 3. ვ. ნიკიტინი (ტალინი).

**74 კგ.** 1. ბ. დეციევი (ჩიმკენტი),



# ორი გუნდით—უმაღლეს ლიგაში



**კეტბურთელთა** საკავშირო ჩემპიონატში ბოლო ტურის წინ (რომელიც ტაშკენტში გაიმართა), ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — თბილისის „მერანი“ და „ივერია“ — რთული ამოცანის წინაშე იდგნენ: ჩვენი გუნდები ტურის წინ შესაბამისად IV და V ადგილებზე იყვნენ და მათი ამოცანა იყო საბოლოოდ დამკვიდრებულიყვნენ უძლიერესთა ოთხეულში, რითაც გაისად უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლებას მიიღებდნენ.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს სასტარტო მატჩების შედეგებს, მით უმეტეს, რომ ივერიელებს დასაწყისიდანვე თავიანთ უშუალო კონკურენტებთან მოუხდათ ბრძოლა. პირველ შეხვედრაში ქართველმა კეტბურთელებმა მცირე უპირატესობით (6:4) სძლიეს მეორე ადგილზე მყოფ ტაშკენტის „მონტაჟნიკს“, შემდეგ კი ხაბაროვსკის „ვოსხოდი“ დაამარცხეს — 14:9. ამ წარმატებებმა ძალა შემატა ჩვენს ბიჭებს. მათ მომდევნო მატჩებშიც დიდი ალმავლობით ჩაატარეს და ზედიზედ კიდევ 4 გამარჯვება მოიპოვეს.

ბოლო ტურის წინ, სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობა შეიქმნა: კიევის „ბიტოვიკსა“ (16 ქულა) და „მონტაჟნიკს“ (14) როგორც იტყვიან, უკვე „ჯიბეში ედოთ“ უმაღლესი ლიგის საგზურები. დანარჩენ ორ ვაკანსიებზე სამი გუნდი აცხადებდა პრეტენზიას — „მერანი“, „ივერია“ და „ვოსხოდი“ (სამივე 12-12 ქულით). მიუხედავად იმისა, რომ „მერანი“ სტარტზე მოულოდნელად დამარცხდა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდთან შეხვედრაში (9:11), ამ წარუმატებლობას გავლენა არ მოუხდენია თბილისელთა თამაშზე და მათ ამის შემდეგ ოთხი შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს.

ასპარეზობის ბოლო დღეს სწორედ „მერანი“ და „ვოსხოდი“ შეხვდა ერთმანეთს. „მერანმა“ მატჩი დიდი უპირატესობით მოიგო (25:5) და გაინაღდა უმაღლესი ლიგის საგზური.

სპეციალისტების აღიარებით, ეს იყო ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი.

ამასობაში „ივერიამ“ დაძაბულ შეხვედრაში აჯობა „ბიტოვიკს“ — 9:5 და 13 ქულით მანაც უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

„მერანის“ მწვრთნელები არიან: გიორგი პაიჭაძე, დავით ლოთვაძე და თემურ ბოჭორიშვილი. „ივერიას“ კი ხელმძღვანელობენ: გელა ჩიხრაძე, გია ქემოკლიძე და მოთამაშე-მწვრთნელი ნუგზარ კაპანაძე.

აღსანიშნავია, რომ ორი ქართველი კეტბურთელი, „ივერიის“ კაპიტანი ნუგზარ ფოფხაძე (პირველი ბაზის მოთამაშე) და „მერანის“ პიტჩერი (მტყორცნელი) ჰვიჩა ყაველაშვილი მიიწვიეს საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში, რომელიც კეთილი ნების თამაშებისათვის ემზადება. ამას გარდა, კიდევ 6 თბილისელი სპორტსმენი საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატია.

შემოდგომაზე ჩვენი გუნდები საკავშირო თასის პირველ გათამაშებაში ჩაებმებიან. შემდეგ კი უმაღლეს ლიგაში დებიუტზეც უნდა ვიფიქროთ. თუმცა ფიქრი კი არა, უკვე დღეიდანვე კონკრეტული ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი, რათა ქარს არ გავატანოთ რის ვაი-ვაგლახით მოპოვებული ადგილი უძლიერესთა შორის. საქმე ისაა, რომ აქამდე საშველი ვერ დაადგა მთავარი საკითხის გადაწყვეტას — კეტბურთის სპეციალიზებული მოედნის მოწყობას. თბილისის ორივე გუნდი სადღეისოდ მეტად სავალალო ყოფაშია და სავარჯიშო ადგილის აქა-იქ ძებნამ ისინი იპოდრომის ტერიტორიაზე მიიყვანა, სადაც ვარჯიშით კი ვარჯიშობენ, მაგრამ აქ შეუძლებელია ქვეყნის საუკეთესო კოლექტივებთან ჭიდილისათვის სათანადო მომზადება და რაიმე წარმატებაზე ფიქრი. მით უფრო, რომ ამ მხრივ ჩვენი ბიჭები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის ყველაზე ცუდ მდგომარეობაში არიან.

**გია ახალაძე**
ავტორის ფოტო.


გურამ გედეხაური


გოგი კოღუაშვილი


ბეგი დარჩია

# სეოკ-ის რეგიონი „კახეთი“

**დასასრულს** უახლოვდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელშემწყობი რეგიონალური ჯგუფების შექმნა.

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში თავი მოიყარეს თელავის, გურჯაანის, ახმეტის, სიღნაღის, წითელი წყაროს, ლაგოდეხის, ყვარლის, საგარეჯოსა და თიანეთის წარმომადგენლებმა. გაიმართა სეოკ-ის რეგიონალური ჯგუფის „კახეთის“ დამფუძნებელი კონფერენცია. გამომსვლელები უმთავრესად ეხებოდნენ საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის შემდგომ გაძლიერებას და ამ დიდ ეროვნულ საქმეში რეგიონების აქტიურ მონაწილეობას. „კახეთის“ რეგიონში შესულ 9 ტერიტორიულ ჯგუფს, კონფერენციის გადაწყვეტილებით, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ჯგუფიც დაემატა.

„კახეთის“ რეგიონალური ჯგუფის ხელმძღვანელად ერთხმად აირჩიეს სეოკ-ის წევრი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მერაბ ხიდაშელი. სხდომამ მიიღო რეზოლუცია, დამტკიცდა ჯგუფის სამოქმედო გეგმა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ სეოკ-ის პასუხისმგებელი მუშაკები.

**გ. მოსიაშვილი**

თელავი.

# დღეს გამსვლელი სესიაა დიდ დიღომში

## სესიის მუშაობაზე დიდ იმედს ამყარებენ ახალდასახლების მცხოვრებნი

**დღეს თბილისში, დიდი დიღმის საცხოვრებელ უბანში 186-ე საშუალო სკოლის სააქტო დარბაზში გამსვლელ სესიას ატარებს საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი.**

დღის წესრიგშია: „რაიონის ახალი განაშენიანების უბნების (დიდი დიღომი, ვაშლიჯვარი) კეთილმოწყობის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების საკითხი“.

რაიაღმასკომის ეს გადაწყვეტილება მისასალმებელია. „ლელო“ უკვე იუწყებოდა ამ ღონისძიების თაობაზე და მოსახლეობას სთხოვდა წამოეყენებინა კონკრეტული წინადადებები. ბევრმა დაგვირეკა, ზოგიერთმა რედაქციაშიც მოგვაკითხა. ყველას ერთი საკითხი აწუხებს — ახალ საცხოვრებელ უბნებში გაშენდეს იმდენი სპორტული მოედანი, რამდენიც სანიტარული ნორმებითაა გათვალისწინებული მოსახლეობათა რაოდენობის შესაბამისად. დიდი დიღმის მცხოვრებლები კვლავ აყენებენ წინადადებას: გამოინახოს დასახლებაში საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე ფართობი, რომელიც გადაეცემა გამაჯანსაღებელ კლუბს მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციისათვის. იქვე დაიდგმება ტრენაჟორები, მოეწყობა ჭადრაკისა და შაშის ოთახები, დაიდგმება ჩოგბურთის მაგიდა და ა. შ. მთელს მსოფლიოში მიღებულ მუშაობის ამგვარ ფორმას ბოლოს და ბოლოს ჩვენც უნდა გავუხსნათ გზა. მოსახლეობა „ლელოს“ რედაქციას სთხოვს ბოლომდე დავუჭიროთ მხარი მათ წინადადებას. ჩვენ მზად ვართ იმისათვისაც, რომ გამაჯანსაღებელი კლუბის შექმნის ორგანიზაციულ საკითხებში მხარში ამოვუდგეთ დიდი დიღმის სახალხო ფრონტის რეგიონალურ ჯგუფს, რომელმაც ეს საქმე ითავა. სპორტული ორგანიზაციები კი მზად არიან ინვენტარი უსასყიდლოდ გადასცენ მოსახლეობას. ერთი სიტყვით, დიდი დიღმის ახალმა უბანმა მაგალითი უნდა მისცეს სხვებს.

# ქველმოქმედება

**კოოპერატივი** „სიმხნევე-88“-ის გამგეობის გადაწყვეტილებით მოჭადრაკე ქეთევან კახიანს 1 ივლისიდან ყოველთვიურად 1990-1991 წლებში დაენიშნა სტიპენდია 100 მანეთის ოდენობით. ერთდროულად კი ქ. კახიანი აზოვში საზონათშორისო ტურნირში გამარჯვებისათვის მიიღებს 300 მანეთს. აგრეთვე, მზად ვართ ქ. კახიანს 20 წლამდე ასაკის გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებასთან დაკავშირებით დავუფინანსოთ ერთი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება 4 კაცზე.

ყოფილ მოჭიდავეს გიორგი რთველიაშვილს ფოსტით გადავუგზავნეთ 200 მანეთი.

**ლევან ყურაშვილი,**
კოოპერატივ „სიმხნევე-88“-ის თავმჯდომარე.

# ფედერაცია განახლდა

**საქართველოს** ხელბურთის ფედერაციამ ამ დღეებში იმსჯელა როგორც წარმატებებზე („ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა, ქალთა ნაკრებმა კი უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს საკავშირო გათამაშების პირველ ლიგაში), ისე ნაკლოვანებებზე (სუსტი მუშაობა რაიონებში, უყურადღებობა სტუდენტური გუნდებისადმი და ქალთა ხელბურთისადმი, ხარვეზები მსაჯობაში და რესპუბლიკის პირველობის ორგანიზაციაში, თბილისის საერთაშორისო ტურნირის პრესტიჟის დაცემა და სხვა).

გაიმართა საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. მის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს გაერთიანება „სამთო ქიმიის“ გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ცხაკაია, ვიცე-პრეზიდენტებად — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები: ჯემალ ცერცვაძე და იმედო ფხაკაძე. ფედერაციის ბიუროში ე. წ. „დარბაზში“ შეყვანილია 40 წევრი.

# წოდებათა მინიჭება

**საბჭოთა კავშირის სპორტსახკომმა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა:**

**ძიუდოში** — კობა კურტანიძეს (გორი, „შევარდენი“), ამირან ტოტიკაშვილს (თბილისი, შეიარაღებული ძალები).

**სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა:**

**ძიუდოში** — შოთა ხაბარელს (თბილისი, „შევარდენი“), ანზორ ქიბროწაშვილს (გორი, „შევარდენი“).

**კრივში** — გარეგინ ხაჩატუროვს (თბილისი, „მართვე“).

საქართველოს ჩემპიონატი მძლეოსნობაში

# მაინც ვერ შეველევით

მომავალი ახალი დროება უცილობლად თავის კორექტივებს შეიტანს სპორტის განვითარებაში; ზოგი სახეობა ჩრდილში მოექცევა, ზოგი კი ახალი ძალით ამოანათებს. ეს, რა თქმა უნდა, არსებული ვითარების ობიექტური შედეგი იქნება, ოღონდ მოსალოდნელ მოვლენათა პროგნოზი, იოლი მისახვედრია, სპორტშიც არ არის ადვილი საქმე.

მძლეოსნობას „სპორტის დედოფალს“ უწოდებენ და ახალ ვითარებაში ისიც, უეჭველად, შეიცვლის თავის სტრუქტურას. მაგრამ ასპარეზობის ამ უძველესმა სახეომ, ძველი თუ ახალი ოლიმპიადების გვირგვინად რომ ითვლებოდა და ითვლება, თავის გაფურჩქვნას სწორედ ცივილიზაციის პირობებში მიაღწია და, რადგანაც ახლა ნამდვილი ცივილიზაციისკენ მივისწრაფვით, მან საკადრისი ადგილი უნდა დაიჭიროს ჩვენს მომავალ სპორტულ ცხოვრებაში.

მანამდე კი უამრავი საქმეა გასაკეთებელი. მათგან უპირველესი კი მძლეოსნობის დაღმასვლის საბოლოოდ შეჩერებაა.

თუკი საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატს შარშანდელს შევადარებთ, იმის თქმის უფლებაც გაგვიჩნდება, რომ ეს უკვე მოხდა კიდეც — უმაღლესმა შედეგებმა (ჩვენს პირობებში) ცოტა უფრო მოიმატა. ეს, ცხადია, სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ იმედის ნაპერწკალი ჯერ მეტისმეტად მკრთალია.

დღევანდელობაში ამა თუ იმ საქმის გამოსასწორებლად „მთელი ფრონტით შეტევა“ შეუძლებელია: ზოგ საქმეს, უკვე გაქვავებულსა და დაჟანგულს, მაინც ვერ დაძრავ ადგილიდან, ნაწილობრივი საზეცვლილება და განახლება კი ასევე ნაწილობრივ შედეგებს მოგვცემს.

ჩვენს მძლეოსნობაშიც ბოლო ხანს გარკვეული სიახლეები დაინერგა: გაუმჯობესდა მწვრთნელთა შრომის ანაზღაურების სისტემა, დაწესდა რეიტინგები სპორტსმენთა და მწვრთნელთა კვალიფიკაციისა და მუშაობის უკეთ გამოსამზეურებლად და ა. შ. ესეც, იმედია, თავის ნაყოფს გამოიღებს. ოღონდ, კიდევ ვიმეორებთ, „ნამდვილი“ საქმე ჯერ კიდევ წინაა: მძლეოსნობის (ისევე როგორც სპორტის სხვა სახეობების) განვითარება წინანდელი სტრუქტურით (სპორტსაზოგადოებები, სპორტული სკოლები და ა. შ.) ხორციელდება. აღნიშნული სიახლე კი მხოლოდ იმას „ცდილობს“, სიცოცხლის მეტი სიო შთაბეროს ძველ სისტემას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წახალისების ახალი ფორმების (რეიტინგების და სხვა) ავტორები იმის აუცილებლობასაც. ხედავენ, რომ მძლეოსნობის უმთავრესი, სტრუქტურული ნაწილის პროგრესული ცვლილებაც არის საჭირო. ამაზე ილაპარაკეს კიდეც მძლეოსნობის რესპუბლიკური გაერთიანების ხელმძღვანელებმა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის არჩევის მიზნით მოწვეულ კრებაზე. მაგრამ რეალურად რა მოჰყვება საკითხის დასმას, ამაზე ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი.

ასე რომ, როგორც ხედავთ, ახლა მძლეოსნობაში, და ალბათ სპორტის სხვა სახეობებშიც, უფრო დროებითი ღონისძიებები ტარდება და ზოგიერთი სიახლე ინერგება, ოღონდ ამგვარმა დამხმარე საშუალებებმა საბოლოოდ უფრო მყარ სისტემამდე უნდა მიგვიყვანოს. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ მძლეოსნობის განვითარებისათვის უფრო და უფრო ნაკლები სახსრები გამოიყოფა და ახლო მომავალშიც ამ ტენდენციის შეჩერება არ არის მოსალოდნელი. მიზეზი ალბათ ყველასთვის ცნობილია — რესპუბლიკის საერთო-ეკონომიკური მდგომარეობა. და რადგანაც ამჟამად არსებული სისტემა უფრო რაოდენობაზეა გათვალისწინებული, ვიდრე ხარისხზე, მან თანდათან საზე უნდა იცვალოს.

ოღონდ ყველაფერს თავისი ზომა გააჩნია... სასაცილო სანახავი იქნება 10-15 თუნდაც უმაღლესი კლასის მძლეოსნის ასპარეზობა. მძლეოსნობას გარკვეული რაოდენობის „ფონი“ სჭირდება საშუალო კლასის მძლეოსანთა სახით, საიდანაც მერე და მერე თითოოროლა, ან უფრო მეტი ნიჭიერი მძლეოსანი წარმოჩინდება. უამისოდ კი იგი, ფაქტობრივად, „მკვდარი“ იქნება. ამიტომ ყველაფერთან ერთად ზომიერების დაცვაცაა საჭირო საქმის სასიკეთოდ.

ახლა კი უშუალოდ საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატს დავუბრუნდეთ, რომელიც რამდენიმე დღის წინ დამთავრდა ეროვნულ სტადიონზე. „ლელოს“ ზოგიერთ მკითხველს იქნებ ახსოვს, რომ შარშან ფულადი პრემიები დაწესდა რესპუბლიკის ჩემპიონატის პრიზიორებისათვის, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს, ან უფრო მაღალ თანრიგს შეასრულებდნენ. შარშან ეს ჯილდო 22 სპორტსმენმა მიიღო და ყველამ — ოსტატობის კანდიდატის ნორმატივის შესატყვისი შედეგის ჩვენებით. წლეულს კი შედეგები უკეთესია: 6-მა მძლეოსანმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი, ჩვიდმეტმა — ოსტატობის კანდიდატისა. ესე იგი, მოხდა ხარისხობრივად სასიკეთო ცვლილება, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ არ დასტყობია მძლეოსანთა ძირითად ჯგუფს.

უნდა ითქვას, რომ ჩემპიონატისადმი გამოჩენილი ყურადღების გამო, აგრეთვე ორგანიზაციული საკითხების მოგვარებით, კარგი მსაჯობით და ა. შ. ასპარეზობა იმ სასინჯ ქვად იქცა, რომელზედაც ნათლად გამოჩნდა ჩვენი მძლეოსნობის დღევანდელი მდგომარეობა. ზემოთაც ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ შეჯიბრებაზე მხოლოდ რამდენიმე ცალკეული სპორტსმენის შედეგია გამოსარჩევი... „ლელოს“ 24 ივნისის ნომერში უკვე გაცნობეთ, რომ საქმთავარსპეცმონტაჟის სამმართველომ (უფროსი — გივი გამყრელიძე) საუკეთესო მონაწილეებისათვის დააწესა ორი პრემია, 500-500 მანეთის ოდენობით. ქალებში ეს ჯილდო დაიმსახურა თბილისელმა სპრინტერმა თამარ შანიძემ (მწვრთნელი — ავთანდილ ბერიძე): მან ორი, მართლაც საუცხოო შედეგი აჩვენა 100 და 200 მეტრზე რბენაში, შესაბამისად—11,52 და 23,65 წამი. თუმცა ორივე მიღწევა საერთაშორისო სტანდარტებს ჩამორჩება, მაგრამ აშკარაა ამ პერსპექტიული მძლეოსნის პროგრესი.

ვაჟებში ყველაზე უფრო გამოიჩინა თავი ცნობილმა სოხუმელმა მძლეოსანმა — ტარიელ ბიწაძემ (მწვრთნელი — თამაზ ჭედია), მან ბირთვი 20,05 მეტრზე ჰკრა და მთელი 2,5 მეტრით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული პერსპექტიული იუნიორი მერაბ ყურაშვილი. ტარიელ ბიწაძისთვის კონკურენცია შეეძლოთ გაეწიათ უროსმტყორცნელ იოსებ შავერდაშვილს და შუბისმტყორცნელ ამბროსი მატიაშვილს, მაგრამ ისინი თავის საუკეთესო მიღწევებს ამჯერად ვერ მიუახლოვდნენ.

მძლეოსნობა მრავალდისციპლინიანი სპორტის სახეობაა და მისი არსებული „მეურნეობა“, ეტყობა, ვერ ავსებს ყველა „ნაპრალს“: ზოგიერთ სახეობაში ახლაც თითოოროლა სპორტსმენი გამოდიოდა. აღნიშნულ მაგალითზე მეტყველებს ისიც, რომ ვეტერანმა მძლეოსანმა შალვა ნადირაძემ, რომელიც ახლადშექმნილ რბენის მოყვარულთა რესპუბლიკური ასოციაციის სახელით ასპარეზობდა, საკმაოდ საშუალო მაჩვენებლებით სამ სახეობაში გაიმარჯვა.

**გიორგი პავლიაშვილი**

## ქვ კვარცხლბეკი

**ქალები. 100 მ.** 1. თ. შანიძე — 11,52; 2. დ. ხუბაშვილი — 12,10; 3. ა. ტოროსიანი (სამივე — თბილისი) — 12,40. **200 მ.** შანიძე — 23,65; ხუბაშვილი — 24,85; ტოროსიანი — 25,16. **400 მ.** მ. ხიდაშელი (თბილისი) — 55,33; 2. ვ. ჩარაევა (ცხინვალი) — 1.00,13; 3. მ. კაპანაძე (ჭიათურა) —1.00,69. **800 მ.** 1. მ. კაჩმაზოვა (ცხინვალი) — 2.22,88 ; 2. კაპანაძე — 2.23,19; 3. ე. კაპანაძე —(ფოთი) — 2.26.87. **1500 მ.** 1. ი. გაზაევა —5.00,9; ე. კობალაძე (ორივე — ცხინვალი) — 5.02,8; 3. ე. ჟული (თბილისი) — 5.32,0. **3000 მ.** 1. გაზაევა — 10.44,98; 2. კობალაძე — 10,50,25; 3. ლ. ბურნაძე (თბილისი)—11.29,36.

**100 მ თარჯრბენი.** 1. ს. ევდოკიმოვა (აჭარა) — 15,63; 2. მ. ტყებუჩავა (აფხაზეთი) — 15,74; 3. ე. მჭედლიძე (გარდაბანი) — 15,78; **400 მ თარჯრბენი.** ვ. ჩარაევა (ცხინვალი) — 1.08,47. **5 კმ სპორტული სიარული.** რ. ბინატოვა (რუსთავი) — 28.09,6.

**4X100 მ.** 1. სამტრედია (მ. იანტბელიძე, ქ. ვასაძე, მ. ბელთაძე, ე. ხონელიძე) — 51,97; 2. აჭარა — 52,08; 3. აფხაზეთი — 52,58.

**4X400 მ.** 1. ცხინვალი (ვ. ჩარაევა, ჟ. ბესტაევა, ნ. ტურაშვილი, მ. კაჩმაზოვა) — 4.06,26; 2. ჭიათურა — 4.18,88.

**სიგრძე.** 1. გ. ჩაფიძე (თელავი) —535 სმ; 2. ი. მურჯიკნელი (გორი) — 534 სმ; 3. რ. ბენდელიანი (თბილისი) — 470. **სიმაღლე.** 1. მ. ნიკურაძე — 170 სმ; 2. ნ. კუზმენკო (ორივე— თბილისი)— 165.

**ბადრო.** 1. ნ. ონაშვილი (თბილისი) — 57,14 მ; 2. ლ. გელაშვილი — 51,62; 3. ლ. გაგლოშვილი (ორივე — ხაშური) —41.90. **შუბი.** 1. მ. თიგიშვილი (გარდაბანი) — 47,12 მ; 2. მ. პატარაია (აჭარა) — 45,10; 3. რ. ჰინჭარაული (საგარეჯო) — 44,12. **ბირთვი.** 1. ე. ურუსოვა (თბილისი) — 16,26 მ; 2. მ. წიქარიშვილი (ხარაგაული) — 13,61; 3. ლ. გელაშვილი (ხაშური) — 13,37.

**ვაჟები. 100 მ.** 1. ვ. ვასილიევი (თბილისი) — 10,87; 2. გ. ჯაშიაშვილი (ზესტაფონი) — 10,89; 3. რ. მამუდოვი (აჭარა) — 11,00. **200 მ.** 1. ჯაშიაშვილი — 22,15; 2. ს. ერმილოვი (თბილისი) — 22,56; ვ. მამუდოვი — 22,68. **400 მ.** 1. ვ. ბორისოვი (რუსთავი)— 50,03; 2. მ. გაფრინდაშვილი (ჭიათურა) — 50,25; 3. შ. ხუჭუა (ოზურგეთი)— 57,03. **800 მ.** 1. ზ. ხიტირი (ლანჩხუთი) — 1.57.40; 2. ე. აბრამოვი (ფოთი) — 1.57,63; 3. გ. გოხაძე (აფხაზეთი) — 2.01.63. **1500 მ.** 1. ო. ხოხლოვი — 3.50,57; 2. ვ. ბარდინი (ორივე — თბილისი) — 3.51,79; 3. აბრამოვი — 4.05,22. **5000 მ.** 1. შ. ნადირაძე — 15.36,02; 2. ო. ხარაზიშვილი — 15.41,76; 3. ვ. გედევანიშვილი (სამივე — თბილისი) — 15.45,46. **10000 მ.** 1. ნადირაძე — 32.50,20; 2. გედევანიშვილი — 32.57,43; 3. ნ. კუნიციანი (თბილისი) — 33.16,06.

**110 მ თარჯრბენი.** 1. ი. ივანოვი — 14,02; 2. ვ. ვასილიევი (ორივე — თბილისი) — 14,07; 3. ვ. ფიოდოროვი (რუსთავი) — 15,01. **400 მ თარჯრბენი.** 1. ვ. ბორისოვი (რუსთავი) — 54,00; 2. მ. გაფრინდაშვილი (ჭიათურა) — 57,14; 3. რ. მოდებაძე — (ქუთაისი) — 58,22. **3 კმ წინაღობებით.** 1. შ. ნადირაძე — 9.29,26; 2. ზ. ზილბერშტეინი (ახალციხე) — 9.55,22; 3. ჰ. მამიკონიანი (თბილისი) —10.18,47.

**10 კმ სპორტული სიარული.** 1. ე. ბაიაძე — 47.03,64; 2. ს. ვალიშვილი — 47.21,29. 3. ნ. ლომაძე (სამივე — თბილისი)—49.49,80.

**4X100 მ.** 1. ოზურგეთი (გ. ფოცხიშვილი, შ. ხუჭუა, ი. კილაძე, კ. ქავჟარაძე) — 44,35; 2. ცხინვალი —44,48; 3. ქუთაისი — 44.48. **4X400 მ.** 1. თბილისი (ო. ხოხლოვი, მ. თევზაძე, ა. რაიკოვი, ვ. ბარდინი) — 3.25,44. 2. აფხაზეთი — 3:30,94; 3. ქუთაისი — 3.32,09.

**სიგრძე** — 1. დ. ანტონოვი (თბილისი) — 7,52 მ; 2. ს. ხუგაევი (ცხინვალი) —6,90; 3. ო. ანდრეევი (თბილისი) — 6,89. **სიმაღლე.** 1. ვ. მინაკოვი— 216 სმ; 2. ი. ზაბროსკოვი (ორივე — თბილისი) — 212; 3. ალასანია (აფხაზეთი) —209 **სამხტომი.** 1. ვ. მახარაძე (ქუთაისი) — 15,78 მ; 2. დ. ჩუკანოვი (თბილისი) — 15,08; 3. ზ. ალხანაიძე (თელავი) — 14,45. **ჭოკი.** 1. ზ. ტუაევი — 4,20 მ; 2. გ. რაზუვაევი (ორივე — თბილისი) — 4,20; 3. მ. ნეოკშანოვი (ქუთაისი) — 4,00.

**ბადრო.** 1. ს. დევიატკინი — 55,32 მ; 2. ა. ტუაევი (ორივე — თბილისი) — 52,24; 3. ი. წიკლაური (გარდაბანი) — 50,26. **ურო.** 1. ი. შავერდაშვილი (გარდაბანი)— 71,30 მ; 2. ლ. ჩიტაიშვილი (თბილისი) — 61,34; 3. ვ. ბედუკაძე (გარდაბანი) — 56,08. **შუბი.** 1. ა. მატიაშვილი (საგარეჯო) — 71,40 მ; 2. ბ. ვარდანიძე (წყალტუბო) — 65,30; 3. ზ. შეთეკაური (გარდაბანი) — 62,24. **ბირთვი.** 1. ტ. ბიწაძე (სოხუმი) — 20,05 მ; 2. მ. ყურაშვილი (წყალტუბო) — 17,47. 3. გ. უშიკიშვილი (ონი) — 17,00.

**გუნდური. I ჯგუფი.** 1. თბილისი — 1112 ქულა; 2. ცხინვალი— 576; 3. აფხაზეთი — 348,5; 4. ქუთაისი — 327,5; 5. აჭარა —316; 6. რუსთავი — 152.

**II ჯგუფი.** 1. ჭიათურა — 112 ქულა; 2. გორი — 121; 3. წყალტუბო —85.

**III ჯგუფი.** 1. ოზურგეთის რაიონი — 216,5 ქულა; 2. გარდაბნის რაიონი — 207,0; 3. სამტრედიის რაიონი — 157.

# ნახვამდის, იარაღო!

### სასროლეთზე... სროლა აკრძალულია

**გასულ წელს ჩამორთმეული სპორტული იარაღი ჯერაც არ დაუბრუნებიათ ჩვენს ტყვიის მსროლელთათვის. ეს უფრო რაიონის სპორტსმენებზე ითქმის, თორემ თბილისელებს ცოტა უკეთესად აქვთ საქმე. საკითხი, ვფიქრობთ, დამაფიქრებელია და დროულად გადაჭრასაც მოითხოვს.**

საქართველოს პირად პირველობაშიც (1972-1974 წლებში დაბადებულებს შორის) ძირითადად, თბილისელი სპორტსმენები ასპარეზობდნენ, რომლებსაც დაემატათ ხუთი მონაწილე ფოთიდან, ორი — ქუთაისიდან და ერთიც — ბათუმიდან. მიზეზი? — ისევ და ისევ იარაღის არქონა. ეს პირველობასოხუმში უნდა ჩატარებულიყო ღია სასროლეთზე, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრო ჯერჯერობით არ იძლევა სასროლეთის გამოყენების ნებართვას და, ამის გამო, შეჯიბრებას თბილისმა, კერძოდ, არმიის სპორტული კლუბის დახურულმა სასროლეთმა უმასპინძლა. მომავალი ასპარეზობები — საკავშირო პირველობა და მოსწავლეთა სპარტაკიადა ღია სასროლეთზე გაიმართება, ჩვენს ტყვიის მსროლელებს კი ჯერ „გარეთ არც გაუხედავთ“.

მოვუსმინოთ საქართველოს ნაკრების მწვრთნელს — **გივი ბოსტოლანაშვილს:**

„ერთ წელზე მეტია, რაც იარაღები ჩამოართვეს ჩვენს სპორტსმენებს. თბილისში ნაკრების კანდიდატებისათვის შევძელით იარაღის რაღაც ნაწილის შენარჩუნება, ახლახან კი განათლების სამინისტროს სპორტმენებს, სწორედ იმათ, რომლებიც მოსწავლეთა სპარტაკიადისთვის ემზადებიან, დაუბრუნეს იარაღი.

რაც შეეხება ამ პირველობას, შედეგები დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. განსაკუთრებით გამოვყოფდი შაშხანის მსროლელ გოგონას — დიანა ავეტისიანს. მიუხედავად მცირე წლოვანებისა (1974 წელსაა დაბადებული), მან სამივე ვარჯიშში გაიმარჯვა, თან ისეთი შედეგებით, რომლებიც უახლოვდება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივებს. აქვე მან ორ სახეობაში, პშ-4 და მშ-5 ვარჯიშებში, გააუმჯობესა საქართველოს რეკორდები. თანატოლთა კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა ამ პირველობაზე სერგო ხერხეულიძემ პშ—11 ვარჯიშში. კარგად იასპარეზეს ალეკო ქურციკაშვილმა, მარინა ბონდარენკომ, ქუთაისელმა გოგონამ ლიდა ძოძუაშვილმა, ნიკო გაბუნიამ, დავით ნადირაშვილმა...

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ფოთელ სპორტსმენთა შედეგებს, ხუთივე მონაწილემ საპრიზო ადგილი დაიკავა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა მწვრთნელს — ნიკო მაღლაკელიძეს, რომელსაც საკმაოდ ცუდ პირობებში უხდება მუშაობა. ფოთის ხელმძღვანელობა მას დაპირდა სასროლეთის აშენებას. თუ ეს საქმე დაჩქარდება, კარგი იქნება როგორც ფოთელთათვის, ასევე ჩვენთვისაც.

ქუთაისში, „დინამოს“ სასროლეთზე, 1984 წლიდან გაუთავებელი მშენებლობა მიმდინარეობს. თან, გასული წლის აპრილიდან, იქაურ სპორტსმენებს იარაღიც ჩამოართვეს. ამ პირველობაზე ისინი ჩვენი იარაღით ასპარეზობდნენ.

ისიც მინდა აღვნიშნო, რომ თუმცა ეს ახალგაზრდების შეჯიბრება გახლდათ, ოთხი საერთაშორისო და ოთხიც საკავშირო მსაჯი ემსახურებოდა...“

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა პირველობის ბოლო დღე. მაგალითად, მშ—5 ვარჯიშში ვაჟებს შორის ფოთელმა თენგიზ ნადარაიამ მხოლოდ ერთი ქულით გაუსწრო ირაკლი კობერიძეს.

გაგაცნობთ გამარჯვებულთა ვინაობას:

**გოგოები. პშ—4, მშ—5 და მშ—9** დიანა ავეტისიანი (თბილისი) — 385, 575 და 589 ქულა; **მპ—5.** ელეონორა პანკოვა (თბილისი) — 530; **პპ—2.** მარინა ბონდარენკო (თბილისი) — 370.

**ჭაბუკები. პშ—4 და მშ—9.** სერგო სარქისიანი (თბილისი) — 358 და 586 ქულა; **პპ—2.** ალეკო ქურციკაშვილი (თბილისი) — 374; **პშ—11.** სერგო ხერხეულიძე (თბილისი) — 365; **მპ—6.** ლაშა ჯაიანი (თბილისი) — 510; **მპ—5.** ნიკო გაბუნია (თბილისი) — 559; **მშ—5.** თენგიზ ნადარაია (ფოთი) — 554.

**გია ბურდული**




## „თბილისური აისი“

ეს სიმპათიური ცხოველი, კინოაპარატს გვერდიდან რომ არ იცილებს და სახეზე ეშმაკური ღიმილი დასთამაშებს, ნორჩ კინომოყვარულთა ფილმების ფესტივალის „თბილისური აისის“ ემბლემაა. ფესტივალს საკმაოდ მრავალრიცხოვანი სტუმრები ჰყავს ამერიკიდან, პოლონეთიდან, ლიტვიდან, უნგრეთიდან, ბულგარეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. სტუმრებს განსაკუთრებით თბილ და შინაურ ატმოსფეროში უწევთ ცხოვრება წყნეთის დასასვენებელ სახლ „მზიურში“, სადაც ისინი ორ კვირაზე მეტ ხანს დაჰყოფენ. ორგანიზატორებმა იზრუნეს იმაზეც, რომ ნორჩმა სტუმრებმა შინაარსიანად გაატარონ „ბანაკური ცხოვრება“. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სპორტულ ღონისძიებებს. ფესტივალი საზეიმოდ 9 ივლისს გაიხსნა და 23 ივლისამდე გასტანს.

**ინგა აცფიაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის გაპროტესტებული მატჩი საჩხერის „ჩიხურასა“ და ახმეტის „ბახტრიონს“ შორის. ეს შეხვედრა, რომელიც ნეიტრალურ მინდორზე, ქარელში გაიმართა, საჩხერელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:0. ასევე შედგა XII ტურის ორი გამოტოვებული მატჩი: „სქური“ (წალენჯიხა). — „დურუჯი“ (ყვარელი) 6:4, „არაგვი“ (დუშეთი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 0:0.

XIII ტურის გამოტოვებული შეხვედრების გამართვა 17 ივლისისთვისაა დაგეგმილი.

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 10 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მარგვეთი“ (ზესტაფონი) | 17 | 14 | 1 | 2 | 41-17 | 43 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 18 | 12 | 3 | 3 | 36-19 | 39 |
| „სულორი“ (ვანი) | 18 | 12 | 3 | 3 | 28-16 | 39 |
| „სიხარული-90“ (გაგრა) | 18 | 10 | 4 | 4 | 37-19 | 34 |
| „სიონი“ (ბოლნისი) | 18 | 9 | 4 | 5 | 33-24 | 31 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 18 | 7 | 7 | 4 | 24-19 | 28 |
| „კახეთი“ (თელავი) | 16 | 8 | 3 | 5 | 25-16 | 27 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 17 | 8 | 1 | 8 | 19-25 | 25 |
| „იმერეთი“ (ხონი) | 18 | 7 | 3 | 8 | 21-29 | 24 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 18 | 6 | 3 | 9 | 29-32 | 21 |
| „ქართლი“ (გორის რ-ნი) | 18 | 6 | 2 | 10 | 26-26 | 20 |
| „მალაროელი“ (ჭიათურა) | 18 | 6 | 2 | 10 | 24-32 | 20 |
| „ბახტრიონი“ (ახმეტა) | 18 | 5 | 5 | 8 | 21-33 | 20 |
| ფიზკ. ინსტ. | 17 | 5 | 4 | 8 | 17-25 | 19 |
| „არმაზი“ (მცხეთა) | 17 | 5 | 4 | 8 | 21-32 | 19 |
| „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) | 18 | 4 | 7 | 7 | 21-22 | 19 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 17 | 4 | 7 | 6 | 22-24 | 19 |
| „საპოვნელა“ (თერჯოლა) | 17 | 5 | 3 | 9 | 20-24 | 18 |
| ხტუ | 18 | 5 | 1 | 12 | 24-39 | 16 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 18 | 3 | 3 | 12 | 16-28 | 12 |

# ექიმთა მსოფლიო ჩემპიონატზე

**სულ ახლახან იტალიაში გაიმართა ექიმ-ფეხბურთელთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს გუნდმაც. ეს იყო ქუთაისის ექიმ-ფეხბურთელთა კლუბი — „ოქროს საწმისი“, რომელმაც რამდენიმე თბილისელი ფეხბურთელი დაიმატა.**

**ჩვენი კორესპონდენტი ეწვია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სპორტული მედიცინისა და სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის ასისტენტს — პავლე კასრაძეს, რომელიც ამ საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობდა და სთხოვა „ლელოს“ მკითხველთათვის მოეთხრო იტალიაში გამართული ექიმი-ფეხბურთელების შეჯიბრების შესახებ.**

**გთავაზობთ პავლე კასრაძის ნაამბობს:**

— ის, რომ იტალიაში ექიმ-ფეხბურთელთა I მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართებოდა, „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნებული საკმაოდ ძუნწი ინფორმაციის მეშვეობით გავიგეთ, იდეას დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ ქუთაისელი ექიმები, კერძოდ, ქუთაისის კლინიკური საავადმყოფოს ექიმ-უროლოგი — ნიკოლოზ ზივზივაძე. მისი ინიციატივით ქუთაისში ჩამოყალიბდა ექიმ-ფეხბურთელთა კლუბი — „ოქროს საწმისი“, ასეთივე კლუბები არსებობენ თბილისსა და თელავშიც. სწორედ „ოქროს საწმისის“ მეთაურთა აქტიურობის შედეგად გახდა შესაძლებელი ჩემპიონატის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის დამყარება და „ოქროს საწმისის“ სახელზე მოვიდა მიწვევა იტალიიდან.

მაგრამ იტალიაში წასვლა იოლი საქმე არ აღმოჩნდა, იქ გამგზავრებამდე მრავალი „ფათერაკი“ გადაგვხდა თავს. ვიზების გაფორმება თავდაპირველად იკისრა მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურ კომიტეტთან არსებულმა ასოციაციამ — „ექიმები მშვიდობისათვის“. წამოიჭრა რთული პრობლემები, „ოქროს საწმისის“ იტალიაში გასამგზავრებლად მხარში ამოგვიდგნენ სხვადასხვა ორგანიზაციები და ცალკეული პიროვნებები, განსაკუთრებით ქუთაისის ლითოფონის ქარხნის მთელი შრომითი კოლექტივი (დირექტორი ვ. მანჯგალაძე).

ყველამ კარგად იცის, რომ იმ პერიოდში იტალიაში მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი მიმდინარეობდა და, თითქოს, ჩვენ ჩრდილში უნდა მოვქცეულიყავით, მაგრამ ექიმ-ფეხბურთელებსაც არ გვაკლდა ყურადღება. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ესპანეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, გერმანიის, ბელგიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ურუგვაის, იუგოსლავიის, კანადის, ალჟირის, მაროკოს, მალტის, ჩეხოსლოვაკიის, ლიტვის, ლატვიის, საქართველოსა და იტალიის 36 გუნდი.

ქვეჯგუფში დავამარცხეთ ბელგიის გუნდი — 3:2, ფრედ დავამთავრეთ თამაში ჩეხოსლოვაკიელებთან — 0:0 და დავმარცხდით მასპინძელთა ერთ-ერთ გუნდთან, კერძოდ, ტრევიზოს ნაკრებთან. მერვედფინალში მოვუგეთ გენუის კლუბს — 5:2, მეოთხედფინალში ფრედ დავასრულეთ თამაში ლიტველებთან — 1:1, შემდეგ კი, დამატებითი 11-მეტრიანებით გავიმარჯვეთ და ნახევარფინალში შევხვდით ესპანელებს. ესპანეთს ძლიერი გუნდი ჰყოლია, იგი ექიმ-ფეხბურთელთა I მსოფლიო ჩემპიონიც გახდა. ესპანელებთან წავაგეთ — 0:3, საბოლოოდ კი, III საპრიზო ადგილზე გავედით.

თამაშები მიმდინარეობდა ვენეციისა და ტრევიზოს პროვინციების ქალაქებში, დავბინავდით საკურორტო ქალაქ ლიდო დი იეზოლოში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე.

მინდა გავიხსენო იტალიაში ყოფნის რამდენიმე ეპიზოდი: როცა პირველ თამაშზე მივედით სტადიონზე, ჩვენს გასახდელს დიდი ასოებით ეწერა „რუსია“. ორგანიზატორებს განვუმარტეთ, რომ ჩვენ რუსეთიდან კი არა, საქართველოდან ვართ, რომ ჩვენ უძველესი ქრისტიანული კულტურის სამხრეთელი წარმომადგენლები გახლავართ. იტალიელი ორგანიზატორები დიდ უხერხულობაში ჩავარდნენ, სასწრაფოდ გამოგვიცვალეს ფირნიშები, წარწერაც გააკეთეს „ჯორჯია“ და ჩვენი დროშაც აღმართეს. ასევე მოიქცნენ ლიტვისა და ლატვიის გუნდებიც.

ლიდო დი იეზოლოში გაიმართა სპორტული მედიცინის საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა ფეხბურთთან დაკავშირებულ სამეცნიერო პრობლემებს. ექიმთა ეს თავყრილობა ძალიან საინტერესო გახლდათ, ბევრი რამ სასარგებლო შევიძინეთ. სპორტული მედიცინის საერთაშორისო ასოციაციის საორგანიზაციო კომიტეტში აირჩიეს ჩვენი წარმომადგენელი ნიკოლოზ ზივზივაძე და, რადგანაც ჩვენი ექიმი ახლა საორგანიზაციო კომიტეტშია, ჩვენც, ალბათ, სამომავლოდ არ დაგვივიწყებენ.

დასასრულ, მინდა ჩამოვთვალო ჩვენი გუნდის წევრები — ქუთაისელები: ნიკოლოზ ზივზივაძე, თეიმურაზ ტაბიძე, თეიმურაზ ჩეჩელაშვილი, ნუგზარ ცამციშვილი, თეიმურაზ უკლება, მერაბ ერემეიშვილი, მიხეილ ყორყოლიანი, გენადი ფუტკარაძე, მერაბ გრიგოლაშვილი, ელგუჯა ბობოხიძე, რევაზ გერგაია. მათთან ერთად ვიყავით თბილისელი ექიმები: გიორგი ხანთაძე. გიორგი კალიტაძე და პავლე კასრაძე.



რამდენიმე დღის წინ, ვიდრე რამაზ შენგელიას შევხვდებოდი, ძველ ნაწერებს ვათვალიერებდი. მსურდა ალმედგინა, რაზე გვქონდა ადრე საუბარი, რომელ თემას არ შევხებივართ. დღევანდელ დაძაბულ ცხოვრებაში მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, იმდენი რამ კარგავს ადრინდელ ღირებულებას, ვიფიქრე, ახლა რომ პირველად ვხვდებოდე, ამ კითხვებს, ნამდვილად არ დავუსვამდი-მეთქი. თუმცა წარსული ყოველი ჩვენგანის საკუთრებაა და ამიტომაც, რაც არ უნდა შეიცვალოს ცხოვრებაში, თავის მნიშვნელობას ის არ დაკარგავს, უბრალოდ, სხვა კუთხით, სხვა პრიზმაში შეიძლება დაინახო გარდასული დრო.



● **რამაზ, ამჟამად მსოფლიო საფეხბურთო ციებ-ცხელებას შეუპყრია. იტალიის მსოფლიო ჩემპიონატმა მრავალი სიურპრიზი შემოგვთავაზა. დღეს ქართველები, როგორც არასდროს, ისე შორს ვდგავართ ამ მოვლენებისაგან. თუგინდ დიდი ფეხბურთის მონატრება დავარქვათ, გინდაც წარსულის „ნოსტალგია“, მოდით კიდევ ერთხელ გაიხსენეთ ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატი. დღეის გადასახედიდან როგორ აფასებთ მაშინდელ მოვლენებს?**

— ყველაზე დიდი შეცდომა, რაც მაშინ საბჭოთა გუნდის ხელმძღვანელობამ დაუშვა, ის იყო, რომ როგორც კი შესარჩევ ჯგუფში გავიმარჯვეთ და ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოვიპოვეთ, მან მიიჩნია, რომ მსოფლიო პირველობის მედლებიც უკვე ხელთ გვეპყრა და მომზადება საჭიროდ აღარ ჩათვალა. არადა, გუნდის შეთამაშება აუცილებელი იყო, ნაკრები ძირითადად სამ გუნდს — კიევის, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ აერთიანებდა, სამივე გუნდს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხელწერა ჰქონდა და ამიტომ საჭირო იყო შეთამაშება, თორემ ისე გამოდიოდა, კრილოვის იგავში რომ არის, ტვირთს ყველა თავის მხარეს ეწევა და ადგილიდან ვერ ძრავს; ახლა უფრო მეტად მწყდება გული, ის მსოფლიო ჩემპიონატი რომ 1982 წელს იყო და არა 1981-ში, იმ დროისთვის უკეთესად ვიყავით მომზადებულნი და, ალბათ, უკეთესადაც ვითამაშებდით. მერე იყო და, ისეთი ვარსკვლავები, როგორიც დავით ყიფიანი და ვლადიმერ გუცაევი იყვნენ, ჩემპიონატის მიღმა დარჩნენ. ზუსტად ვერ ვიტყვი, მათი ნაკრებში მიწვევა პირად სიმპათია-ანტიპათიაზე იყო დამოკიდებული, თუ, უბრალოდ, ნაკრებში ბევრი ქართველის ყოფნა ძალიან „იყვირებდა“.

● **დილეტანტის პოზიციიდან ხმამაღალ ნათქვამად თუ არ ჩამეთვლება, აგიხსნით — რატომღაც მგონია, ქართული ფეხბურთის სტილი და ფენომენი მიუღებელია ქვეყნის ნაკრებისთვის, იქ ძალისმიერ ფეხბურთს არჩევენ და ქართველთა გუნდში მიწვევაც, ალბათ ამ პრობლემასთან იყო დაკავშირებული.**

— გეთანხმებით. მათ ეშინიათ ინდივიდუალური ოსტატობისა, პირადი ინიციატივისა და ვარჯიშის დროსაც ამის წინააღმდეგ მოგვიწოდებდნენ ყოველთვის. მათთვის უცხო ხილია იმპროვიზაცია, როცა ფეხბურთი ხელოვნებასთან ახლოს უფრო დგას, ვიდრე სპორტთან, ყიფიანი და გუცაევი კი ამ მხრივ დიდი ოსტატები იყვნენ. ამით არ მინდა ჩემთან ერთად მოთამაშე სხვა ქართველები დავამცირო, მაგრამ ქართველთა მიმართ ასეთი ორჭოფობა, ვფიქრობ, ამ პრობლემასთანაც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. აქ კიდევ ერთხელ მინდა გავიხსენო 13 მაისი. ეს მატჩი თითოეული ფეხბურთელის ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე მოვიგეთ. დღესაც თვალწინ მიდგას დარასელიას გოლი. მისი ოსტატური გარღვევა და ულამაზესი დარტყმა. რუსებისთვის ეს მიუღებელია. იცით, ხანდახან ვფიქრობ, ის დიქტატურა, რაც ქვეყანაში იყო გამეფებული, სპორტზეც ახდენდა გავლენას.

● **ვიტალი დარასელია და მისი ცხოვრების უბრწყინვალესი მომენტი ახსენეთ. იმ დღეს იგი მართლაც ვარსკვლავივით კაშკაშებდა. იქნებ მსოფლიო ჩემპიონატის წელს უფრო უპრიანი იქნებოდა გაგვეხსენებინა, როგორი იყო დარასელია ესპანეთში?**

— ყველაზე უკეთ ბრაზილიის წინააღმდეგ მისი მზადება მახსოვს. რაღაც სხვა ენთუზიაზმით, სხვა სიხალისით ვარჯიშობდა. უნდა მოვიგოთო, ჩვენც გვიკიჟინებდა. ახლა, ასე მგონია, დიდ, ნამდვილ ფეხბურთთან შეხვედრა უხაროდა — ბრაზილიელები ხომ სამხრეთამერიკულ ფეხბურთს თამაშობენ. თუმცა იმ მატჩის წინ დიდი ჰოჰმანი შეიქნა ეთამაშა თუ არა დარასელიას. არადა, მისი დონის, ძალის და მონდომების ნახევარმცველი კავშირში არ მოიძებნებოდა.

● **დღეს ბევრი რამ შეიცვალა საფეხბურთო სამყაროში. ცხოვრება წინ მიდის და თითქოს უმჯობესდება, ბიჭებს ანაზღაურებაც მეტი აქვთ და, აქედან გამომდინარე, მონდომებაც. თქვენს დროს როგორი ანაზღაურება გქონდათ?**



# მთავარია, წმინდა ვიყოთ საქმეში!

— ხელფასი 250 მანეთს არ აღემატებოდა, პრემია კი, რაც თავი მახსოვს, 200 მანეთს არ ასცილებია. ყოფილა შემთხვევა 80 და 70 მანეთიც მოუციათ პრემიის სახით, მაგრამ იმას ნუ ვიტყვით, რომ მონდომება გვაკლდა. ჩვენი პლეადის წარმომადგენლები ფანატიკოსები იყვნენ, ბურთზე უზომოდ შეყვარებულები. არ ვიცი, როგორი არიან ახლანდელები, მაგრამ ჩვენ დამატებით, მწვრთნელის გარეშეც ვვარჯიშობდით. რწმენა გვქონდა ასეთი, ვარჯიშზე ძალა არ უნდა დაგვეშურა, თამაშის დროს კი არა მარტო გულშემატკივარს, ჩვენც უნდა მიგვეღო ესთეტიკური სიამოვნება. თქვენ შეიძლება გიჭირდეთ ამის გაგება, ფეხბურთელსა და ბურთს შორის უხილავი ძაფებია გაბმული, მთავარია, ამ ძაფებს გავუფრთხილდეთ, თორემ, ჯამაგირს უნდა ეყოს კაციო — ნათქვამია.

● **თუ გაგიჭირდებათ, ნუ მიპასუხებთ, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, „ჩაწყობილი“ მატჩი თუ გითამაშიათ?**

— შეიძლება მითამაშია კიდეც. შეიძლებას იმიტომ ვამბობ, წინასწარ არავინ მეტყოდა, რომ ეს ჩაწყობილი მატჩი იყო, მაგრამ უშუალოდ თამაშის დროს ხვდები, რომ რაღაც ხდება, ალბათ, კარგიც იყო, რომ არ გვაგებინებდნენ, ასე მგონია, ფეხს ვერ გავანძრევდი. როცა გრძნობ, რომ რაღაც სიბინძურეში ურევიხარ... ეს საშინელებაა. თუმცა ესეც დროის მოთხოვნა იყო, თუ დრომ თვითონ მოიტანა. ეს სიბინძურე დღესაც ბატონობს საბჭოთა ფეხბურთში და როგორ მიხარია, რომ ქართველები აღარ ვღებულობთ მასში მონაწილეობას.

● **ქართველმა გულშემატკივარმა თითქმის ყველაფერი იცის თქვენი შვეციაში ყოფნის შესახებ, მაგრამ მე მაინც გულში ხინჯად ჩამრჩა — გახსოვთ, ინტერვიუ გთხოვეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით და ჯერ არ გადაწყვეტილაო. მიპასუხეთ, მეორე დღეს კი გაფრინდით. რატომ ფრთხილობდით?**

— ჩვენი წასვლის შესახებ არავითარ შემთხვევაში არ უნდა სცოდნოდა „ინტერსპორტს“, რადგან ჩვენ „საქიმპექსის“ მეშვეობით წავედით. განსხვავება ისაა, რომ თუ „ინტერსპორტი“ გაგვიშვებდა და მათ გავაგებინებდით, ვალუტა საკავშირო ხაზინაში წავიდოდა, ჩვენი გამომუშავებული თანხის „ლომის წილს“ კი „ინტერსპორტი“ წაიღებდა და ჩვენც მის მიერ სხვა გაგზავნილებივით „მათხოვრებივით“ ვივლიდით. „საქინპექსის“ ეგიდით წასულებმა კი „დინამოსაც“ ბევრი რამ შევმატეთ, საქართველოსაც და საკუთარ თავსაც.

● **საბედნიეროდ, ჩვენ ამ ყველაფრისაგან უკვე შორს ვდგავართ, ეროვნული ჩემპიონატის შექმნით დიდებული საქმე გაკეთდა. მაგრამ წინ მრავალი პრობლემაა. როგორც გამოცდილ ადამიანს, როგორ გგონიათ, რა არის საჭირო, უფრო რომ დაიხვეწოს ეროვნული ჩემპიონატი?**

— ერთი რამ მიხარია ყველაზე მეტად — ადრე, როგორც წესი, საქართველოს ჩემპიონატში მასპინძელ გუნდს უნდა გაემარჯვა, ახლა ვინც სათამაშოდ მიდის, ყველას მოგების წყურვილი აქვს. მაგრამ აქ ერთი მომენტია კიდევ: მწვრთნელები და ხალხი ძველი ფსიქოლოგიით არიან შებოჭილნი. მთავარი გამოსავალი ასეთია: ყველამ თავის სულში უნდა ჩაიხედოს და ეცადოს, წმინდა, შეურაცხი იყოს თავის საქმიანობაში.

● **საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი მატჩი ვნახეთ. სიმართლე გითხრათ, მეტს მოველოდი, და ამდენად, უკმაყოფილოც ვარ. ახლა, როცა უკან დარჩა ეს შეხვედრა, როცა ყველაფერი გაანალიზეთ, ხომ ვერ დაასახელებთ ეროვნული ნაკრების 18-კაციან შემადგენლობას?**

— ხაპოვი, ჭანტურია, კეტაშვილი, დანელია, ცხადაძე, ფირცხლავა, ნადირაძე, გოგრიჭიანი, ბიგვავა, რევიშვილი, ცაავა, გურული, ჭედია, კოროლიძე, ქეცბაია, ინალიშვილი.

ღმერთმა ქნას, საქართველოს ეროვნული დროშა მალე აფრიალებულიყოს საერთაშორისო სარბიელზე.

**ესაუბრა ინგა ჩახვაშვილი**

# გოგოები არ ხუმრობენ...

საქართველოში ქალთა ფეხბურთი დღითი დღე უფრო პოპულარული ხდება. ამას წინათ, ჭიათურის „მაღაროელის“ სტადიონზე, მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი სწორედ იმ დღეებში მიმდინარეობდა, ხალხმრავლობა იყო, რაც იმის დადასტურებაა, რომ ჭიათურელი გულშემატკივრები სკეპტიკურად არ უყურებენ „ასულთა“ თამაშს.

მინდორზე ჭიათურის „გვირილა“ (რომელიც ნავარძეთის საშუალო სკოლის ბაზაზე შეიქმნა შარშან, ოქტომბერში) და სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური ნაკრები გამოვიდა.

ამჯერად, მკითხველს მატჩის დეტალურ ანალიზს [illegible], მაგრამ აღვნიშნავ [illegible]ას“ (მწვრთნელ[illegible] გოგოებმა ალმ[illegible] [illegible]ში და გაიმარჯვ[illegible] კიდევ [illegible]ით — 2:1.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური ნაკრები ჩამოყალიბების პროცესშია და ამ მატჩშიც გუნდის ხელმძღვანელობა პერსპექტიულ ფეხბურთელ გოგოებს არჩევდა.

თამაშის შემდეგ ნაკრებში „გვირილადან“ მიიწვიეს ვანდა, ელზა და ზათუნა ყიფშიძეები, ლია ენუქიძე, ეკა გეგეშიძე და მაგდა სამხარაძე. გოგოებმა ნამდვილად დაიმსახურეს, და ახლა, ორივე გუნდი საჩვენებელი მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრება თურქეთს.

**თენგიზ ბურჯიძე,**
**[illegible] გუნდის უფროსი.**

# წლეულს უკეთ, ვიდრე წინა წლებში

(დასასრული)

2. მ. ისკანდერიანი (ლენინაკანი), 3. ბ. ჩალიევი (კრასნოიარსკი).

**82 კგ.** 1. დ. ტურლიხანოვი (ალმა-ათა), 2. ს. ნასევიჩი (დონის როსტოვი), 3. ბ. დარჩია (თბილისი).

**90 კგ.** 1. ო. ოლეინიკი (მარიუპოლი), 2. გ. კოღუაშვილი (ქუთაისი), 3. არ გათამაშდა.

**100 კგ.** 1. თ. თედორაძე, 2. გ. გედეხაური (ორივე — თბილისი), 3. ი. შოფხანოვი (როსტოვი).

**130 კგ.** 1. ა. კარელინი (ნოვოსიბირსკი), 2. ვ. გრიგორიევი (ჩელიაბინსკი), 3. ა. გლადკოვი (უფა).

გუნდური შედეგები: 1. რუსეთის ფედერაცია, 2. ბელორუსია, 3. საქართველო.

როგორც სიიდან ჩანს, ჩემპიონატის მედლები ოცი ქალაქის მოჭიდავეებს შორის განაწილდა, რაც თავისთავად, პრიზიორთა გეოგრაფიის ყოველწლიურ ზრდაზე მეტყველებს.

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| **როსტოვი** | 2 | 1 | 1 |
| **თბილისი** | 1 | 1 | 1 |
| **გროზნო** | 1 | — | — |
| **ლენინგრადი** | 1 | — | — |
| **სარანსკი** | 1 | — | — |
| **ჩიმკენტი** | 1 | — | — |
| **ალმა-ათა** | 1 | — | — |
| **მარიუპოლი** | 1 | — | — |
| **ნოვოსიბირსკი** | 1 | — | — |
| **მოსკოვი** | — | 2 | — |
| **ლენინაკანი** | — | 1 | 1 |
| **კიევი** | — | 1 | — |
| **მინსკი** | — | 1 | — |
| **სიმფეროპოლი** | — | 1 | — |
| **ქუთაისი** | — | 1 | — |
| **ჩელიაბინსკი** | — | 1 | — |
| **ომსკი** | — | — | 3 |
| **ტალინი** | — | — | 1 |
| **კრასნოიარსკი** | — | — | 1 |
| **უფა** | — | — | 1 |

გუნდური პირველობა კიშინიოვში რესპუბლიკების ნაკრებ კოლექტივებს შორის გათამაშდა. აქ მოპოვებული ჯილდოების მხრივ, აშკარა უპირატესობა აქვს რუსეთის ფედერაციის გუნდს. საქართველოს ნაკრები კი მეორე ადგილზეა. აი ეს ცხრილიც:

| | | | |
|---|---|---|---|
| **რუსეთის ფედერაცია** | 6 | 2 | 6 |
| **საქართველო** | 1 | 2 | 1 |
| **უკრაინა** | 1 | 2 | — |
| **ლენინგრადი** | 1 | — | — |
| **ყაზახეთი** | 1 | — | — |
| **მოსკოვი** | — | 2 | — |
| **სომხეთი** | — | 1 | 1 |
| **ბელორუსია** | — | 1 | — |
| **ესტონეთი** | — | — | 1 |

# რეკორდსმენის გეგმები

**მსოფლიოს** რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში კუბელმა ხავიერ სოტომაიორმა შეწყვიტა ტურნე ევროპაში და შინ დაბრუნდა. გაზეთ „გრანმას" მიმომხილველის აზრით, რეკორდსმენი ფეხის ტკივილმა შეაწუხა. როგორც ცნობილია, შარშან, სექტემბერში, იგი დაშავდა და მთელი რვა თვის მანძილზე მკურნალობდა ტრავმას. მაისში ექიმებმა ხტომის სექტორში გასვლის ნება დართეს და სოტომაიორიც მაშინვე ევროპას გაემგზავრა.

კუბელი მძლეოსანი კეთილი ნების თამაშებში გამოსვლაზე ოცნებობს და მზად არის დარჩენილი დრო სერიოზულ მკურნალობას მოახმაროს, თუ, რა თქმა უნდა, ექიმები სიეტლში გამგზავრების ნებას მისცემენ.

კუბელ მხტომელს მსოფლიოს ორი რეკორდი ეკუთვნის: ღია ცის ქვეშ მისი მიღწევაა 247 სანტიმეტრი, დარბაზებში კი — სანტიმეტრით ნაკლები. კეთილი ნების თამაშებში იგი საკუთარი მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას აპირებს.

# სტარტი—საფრანგეთში, ფინიში—შვეიცარიაში

**ბერნი.** საერთაშორისო ველორბოლის „ტურ დე ფრანსის" მონაწილეებმა დროებით დატოვეს საფრანგეთი და შვეიცარიის გზებზე გადაინაცვლეს. მეცხრე ეტაპის სტარტი საფრანგეთის ქალაქ ბეზანსონში იყო დანიშნული, ფინიში კი — ჟენევაში. 196-კილომეტრიანი რთული ტრასა ყველაზე სწრაფად იტალიელმა მასიმო ქიროტომ დაფარა — 4:46.07. იგივე დრო ჰქონდა მეორე ადგილზე გასულ ესპანელ ედუარდო ჩოზასს. 16 წამი წააგო მასთან ფრანგმა კრისტოფ ლავენმა.

ლიდერის ყვითელ მაისურს კვლავ კანადელი სტივ ბაუერი ინარჩუნებს, რომელიც მეცხრე ეტაპის გამარჯვებულ ქიროტოს 36 წამით ჩამორჩა.

# პრემია — 410 ათასი დოლარი

**უიმბლდონის** ჩოგბურთელთა ტურნირი დამთავრდა, მაგრამ სპორტსმენები შინ არ დაბრუნებულან. ისინი სხვადასხვა ქვეყანაში მიმოიფანტნენ და ჩაებნენ ახალ ტურნირებში.

ინგლისში ჯერჯერობით დარჩა შვედი სტეფან ედბერგი — წლევანდელი ტურნირის ჩემპიონი. იგი რამდენიმე წელია ლონდონში ცხოვრობს და დაძაბული შეჯიბრების შემდეგ თავისი ფინანსური საქმეების მოგვარებას აპირებს. უიმბლდონში გამარჯვებისთვის შვედმა სარეკორდოდ დიდი პრემია — 410 ათასი დოლარი მიიღო და ახლა ამ ფულის დაბანდებას აპირებს.

ქალთა ტურნირის ფინალისტი, ამერიკელი ზინა ჰარისონი, ბელგრადში ჩავიდა და იქ საჩვენებელი მატჩი გამართა მონიკა სელეშისთან, რომელიც რამდენიმე დღის წინ ლონდონში დაამარცხა. ამჯერად იუგოსლაველმა ჩოგბურთელმა რევანში აიღო — 4:6, 6:3, 6:3.

საბჭოთა ჩოგბურთელების უმაღლესი მიღწევა წლევანდელ უიმბლდონში ოთხეულში მოხვედრა იყო, რაც თავისთავად, ურიგო მაჩვენებელი არ არის. მაგრამ საქმე ისაა, რომ ლარისა სავჩენკოსა და ნატალია ზვერევას წყვილმა შარშან მეორე ადგილი დაიკავა და ამჯერად ოთხეულში გასვლა შედეგის გაუარესებას ნიშნავს.

მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვი და უფელი ანდრეი ჩერკასოვი შვეიცარიის ქალაქ გშტადში იმყოფებიან და მონაწილეობენ ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდს 305 ათასი დოლარი შეადგენს. გათამაშების სტარტზე ერთმანეთს სწორედ ეს ორი ჩოგბურთელი შეხვდა. გამარჯვება უფრო გამოცდილმა ჩესნოკოვმა მოიპოვა — 6:3, 7:6.

## სამი ორგანიზაციის წევრი

**პარიზი.** საფრანგეთის დედაქალაქში გამართულმა ევროპის მოკრივეთა კავშირის კონგრესმა თავის შემადგენლობაში მიიღო მოკრივეთა საკავშირო ასოციაცია (ვაბ-ი), ახლა ეს ორგანიზაცია, რომელიც პროფესიულ სპორტსმენებს აერთიანებს, უკვე სამი საერთაშორისო ასოციაციის წევრია. ევროპის მოკრივეთა კავშირის გარდა იგი სცნო მოკრივეთა მსოფლიო კავშირმა და მოკრივეთა საერთაშორისო ფედერაციამ. საბჭოთა მოკრივეებს ამიერიდან პროფესიონალთა ყველა ტურნირში შეეძლებათ გამოსვლა.

## „სპორტპროგნოზი"

**27-ე ტირაჟის შედეგები**

**(6-7 ივლისი)**

1—1, 2—1, 3—1, 4—1, 5—1, 6—1, 7—1, 8—X, 9—2, 10—1, 11—1, 12—1, 13—1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

• • •

**„C-7" სპეციალური ტირაჟის შედეგები**

**(7-8 ივლისი)**

**1—13 (გფრ), 2—5 (არგენტინა), 3—1 (იტალია).**

**შენიშვნა:** პირველი ციფრი გუნდის მიერ დაკავებულ ადგილს აღნიშნავს, მეორე — გუნდის რიგით ნომერს.

„C-5" სპეცტირაჟში მონაწილე ბილეთებს, რომელთა ნომრებია 936390 (სერია 002), 853346 (სერია 007), 953178 (სერია 010), 395344 (სერია 005), 867293 (სერია 006) წილად ხვდათ უფლება ურიგოდ შეიძინონ ავტომანქანა „ვოლგა".




## „ოქროს ბურთი" — სალვატორე სკილაჩის

**მსოფლიოს** XIV საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ბომბარდირი, იტალიელი სალვატორე სკილაჩი მიიჩნიეს ამ შეჯიბრების საუკეთესო მოთამაშედ. ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად მან 1629 ქულა დააგროვა და დაისაკუთრა ფირმა „ადიდასის" მიერ დაწესებული საგანგებო პრიზი — „ოქროს ბურთი".

მეორე ადგილზე გავიდა დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი — ლოტარ მათეუსი, რომელმაც 1036 ხმა მიიღო, მესამე ადგილზეა არგენტინელი დიეგო მარადონა (802).

საუკეთესოთა შორის არიან, აგრეთვე, კამერუნელი როჟე მილა (350), დასავლეთგერმანელი იურგენ კლინსმანი (286) და იტალიელი რობერტო ბაჯო (224).

## კიდევ ერთი ნაკრები

**ფრანგულმა** სააგენტო ფრანს პრესმა გამოაქვეყნა მსოფლიოს „იდეალური ნაკრების" საკუთარი ვარიანტი, არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა ვერც ამ სიაში მოხვდა.

აი, ფრანს პრესის ნაკრები: **მეკარე** — კონეხო (კოსტა-რიკა); **მცველები** — პარკერი (ინგლისი), სიმონი (არგენტინა), კოლერი, ბრემე (გფრ), **ნახევარმცველები** — ბუხვალდი, მათეუსი (გფრ), შიფო (ბელგია), გესკოინი (ინგლისი); **თავდამსხმელები** — კანიჯა (არგენტინა), სკილაჩი (იტალია). სათადარიგო მოთამაშეებია: გოიკოეჩეა (არგენტინა), რაიტი (ინგლისი), ბაჯო (იტალია), მილა (კამერუნი), კლინსმანი (გფრ).

## მასპინძლები და „სხვანი"...

**დამთავრდა** მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში, იტალიის უდიდესი ქალაქების სტადიონებზე გადაიგრიალა ამ ღირსშესანიშნავი ასპარეზობის მიტჩებმა. ჩემპიონატი, როგორც იცით, დამთავრდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების გამარჯვებით. პროგნოზისტთა უმეტესობა მასპინძლებს უქადდა გამარჯვებას, მაგრამ მათ მხოლოდ ბრინჯაოს მედლების მოპოვება შესძლეს. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოქროს თასი კი „სტუმრებმა" დაისაკუთრეს.

საინტერესოა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში რამდენჯერ შეძლეს მასპინძლებმა პირველი ადგილის დაკავება და რამდენჯერ ეს საპატიო ნადავლი სხვებს ხვდათ წილად.

**1930 წელი.** ჩემპიონატი ურუგვაიში გაიმართა, გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

**1934 წელი.** ჩემპიონატს უმასპინძლეს იტალიელებმა, გამარჯვებაც მათ დარჩათ.

**1938 წელი.** საფრანგეთი. გაიმარჯვეს იტალიელებმა.

**1950 წელი.** ბრაზილია. პირველი ადგილი მოიგო ურუგვაის ნაკრებმა.

**1954 წელი.** შვეიცარია. გაიმარჯვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდმა.

**1958 წელი.** შვეცია. გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა.

**1962 წელი.** ჩილე. გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა.

**1966 წელი.** ინგლისი. ოქროს მედლები დაისაკუთრეს მასპინძლებმა.

**1970 წელი.** მექსიკა. გაიმარჯვეს ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა.

**1974 წელი.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

**1978 წელი.** არგენტინა. პირველობა მოიპოვეს მასპინძლებმა.

**1982 წელი.** ესპანეთი. ჩემპიონობა წილად ხვდათ იტალიელებს.

**1986 წელი.** მექსიკა. ჩემპიონობა მოიპოვეს არგენტინელებმა.

**1990 წელი.** იტალია. ჩემპიონი გახდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები.

**ამრიგად, განვლილ 14 ჩემპიონატში მასპინძლებმა ხულ ხუთჯერ შეძლეს ოქროს მედლების მოპოვება.**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე

**თბილისის „შევარდენის" სტადიონი**
**(ბ. ხმელნიცკის ქუჩა № 40)**
**16 ივლისი**
**● ფეხბურთი**
**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი**
**(უმაღლესი ჯგუფი)**
**„შევარდენი-1906" (თბილისი) — „დილა" (გორი)**
**დასაწყისი 18 საათზე**
მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 16 ივლისს 10-დან 17 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

თბილისის საფეხბურთო კლუბი „იბერია" თანაგრძნობას უცხადებს სპორტის ოსტატ ჯემალ ზეინკლიშვილს ძმის

**თენგიზ ზეინკლიშვილის**

გარდაცვალების გამო.

# ექლვნება პატარა საშას

**მსოფლიო** ჩემპიონატის მე-6 ეტაპს „ფორმულა 1" კლასის ავტომობილებით რბოლაში პედრო და რიკარდო როდრიგესის სახელობის ტრასამ უმასპინძლა. გათამაშდა მექსიკის „გრან პრი".

საკვალიფიკაციო რბოლა კვლავ „მაკლარენის" უპირატესობით წარიმართა. გერჰარდ ბერგერმა თავისი მე-6 საწვრთნელი რბოლა მოიგო, 206,089 კმ. სთ სიჩქარით წრე დაფარა 1 წუთსა და 17,227 წამში. მეორე იყო რიკარდო პატრეზე, მესამე — აირტონ სენა. ალენ პროსტმა მეცამეტე შედეგი აჩვენა.

სტარტიდან — დაწინაურდა რიკარდო პატრეზე. მაგრამ მალე ისიც და სხვებიც ჩვეული მანერით ჩამოიტოვა აირტონ სენამ.

ალენ პროსტი კი აუღელვებლად მიიწევდა წინ. მეექვსე წრეზე იგი მეთხუთმეტე იყო, დისტანციის ნახევრის გავლის შემდეგ — მეოთხე. მალე ფრანგმა პილოტმა თავის თანაგუნდელსაც „გაუარა". ამ მომენტიდან დაიწყო ყველაზე საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლა აირტონ სენასა და ალენ პროსტს შორის.

ბრაზილიელი პილოტი დიდხანს არ თმობდა ლიდერის პოზიციას. პროსტი ხან მარცხნიდან, ხან მარჯვნიდან უტევდა თავის მეტოქეს, მაგრამ უშედეგოდ. მოულოდნელად „მაკლარენის" მარჯვენა უკანა საბურავი გასკდა და აირტონ სენამ რბოლა შეწყვიტა. ალენ პროსტს გზა გაეხსნა ფინიშისკენ.

ალენ პროსტმა 41-ე „გრან პრი" მოიგო. 69 წრე, ანუ 305,049 კმ დაფარა საათში, 32 წუთსა და 35,783 წამში. ეს „ფერარის" 99-ე გამარჯვებაა.

მექსიკაში მოპოვებული „გრან პრი" ალენ პროსტმა მიუძღვნა თავის უმცროს ვაჟს, ერთი თვის საშას.

ფრანგმა პილოტმა ტრასის რეკორდიც დაამყარა. წრე გაიარა 1 წუთსა და 18,608 წამში (საშუალო სიჩქარე — 202,468 კმ სთ).

ალენ პროსტისთვის ეს იყო 160-ე სტარტი, რიკარდო პატრეზესთვის — 198-ე, აირტონ სენასთვის — მე-100.

საბოლოო შედეგები:

1. ალენ პროსტი (საფრანგეთი) — 9; 2. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი) — 6 (ორივე „ფერარი"); 3. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენ ჰონდა") — 4; 4. ალესანდრო ნანინი (იტალია, „ბენეტონ-ფორდი") — 3; 5. ტიერი ბუტსანი (ბელგია, „უილიამს-რენო") — 2; 6. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი") — 1.



მდგომარეობა 6 ეტაპის შემდეგ: 1. აირტონ სენა — 31; 2-3. ალენ პროსტი, გერჰარდ ბერგერი — 23-23; 4-6. ჟან ალესი, ნაიჯელ მენსელი, ნელსონ პიკე — 13-13; 7. ტიერი ბუტსანი — 11; 8. რიკარდო პატრეზე — 9; 9. ალესანდრო ნანინი — 7; 10-11. სტეფანო მოდენა, ალექს კაფი — 2-2; 12-14. დერეკ უორვიკი, სატორუ ნაკაჰიმა, ერიკ ბერნარი — თითო ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა: 1. „მაკლარენი" — 54; 2. „ფერარი — 36; 3-4. „უილიამსი", „ბენეტონი" — 20-20; 5. „ტაირელი" — 14; 6-7. „ბრებემი", „ეროუზი" — 2-2; 8-9. „ლოტუსი", „ლოლა" — თითო ქულა.

**დავით ჩუბინიძე**

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ქორქია. კორექტორები მ. ძეძამიძე და ჟ. ხომერიკი.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, 8. კოსტავას ქ. 14,**
**დეპეშებისთვის — თბ [illegible]**

**ტელეფონები:**
**განყოფილება — 93-97-55, 93-97-62,**
**[illegible] განყოფილება — 93-97-54,**
**„სერანგი" — 93-97-26, „მარიგე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, 8. კოსტავას ქ. 14,**
**იბეჭდება ოფსეტური წესით სავაჟეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

**ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდება.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779